2/139/2

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის
ბრძანებათა და განკარგულებათა

კრებული

1939 წ. სპეციალური ნომერი დეკემბერი

შინაარსი

1. ბრძანება მასწავლებელთა იანვრის თათბირების ორგანიზაციისა და ჩატარების შესახებ
2. საზამთრო არდადეგების შესახებ
3. საახალწლო ნაძვის ხის მოწყობის შესახებ
4. ანტისაშობაო კამპანიის ჩატარების შესახებ
5. სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულება

3535

ილ. ჭავჭავაძის სახ. სკოლამდ. პედ. ინსტიტუტის ბიბლიოთეკა
თბილისი

სახელგამი
თბილისი 1939

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პ/მგ. გამოშვებისათვის—ა. გ ვ ა ს ა ლ ი ა.
მთავლიტის რწმუნებულის № ბ—256
გადაეცა წარმოებას—13/XII—39
ხელმოწერილია დასაბეჭდად—17/XII—39
ტირაჟი 3300
შეკვეთა № 2404

გამომცემლობა „ტექნიკა და შრომა"-ს სტამბა, ფურცელაძის ქ. № 5.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 7310

განათლების სახალხო კომისარიატისადმი

1939 წლის „11“ დეკემბერს

მასწავლებელთა იანვრის თათბირის ორგანიზაციისა და ჩატარების შესახებ

მასწავლებელთა იანვრის რაიონული მეთოდური თათბირების ორგანიზებულად და შინაარსიანად ჩატარებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საუკეთესო სკოლებისა და მასწავლებლების გამოცდილების გამოყენებისა და სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების საქმეში.

ზოგიერთი განათლების განყოფილება ვერ აფასებს იანვრის თათბირების მნიშვნელობას. მთელ რიგ რაიონებში გულდასმით და მოფიქრებულად არ ტარდებოდა თათბირისათვის წინასწარი სამზადისი, არ ხდებოდა მომხსენებლების წინასწარ საფუძვლიანად შერჩევა, მომხსენებლად გამოყოფილ პირებს არ უწევდნენ საჭირო დახმარებას თათბირებზე მომზადებულად გამოსვლისათვის, რის შედეგად ხშირ შემთხვევაში თათბირებს საჭირო შედეგი არ მოჰქონდა.

მასწავლებელთა იანვრის რაიონული საინსტრუქციო თათბირების ორგანიზებულად და შინაარსიანად ჩატარების უზრუნველსაყოფად ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სკოლის დირექტორებმა (გამგეებმა) ზუსტად აღრიცხონ მიმდინარე სასწავლო წლის პირველი ნახევრის განმავლობაში ჩატარებული სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დადებითი და უარყოფითი მხარეები (განსაკუთრებით მეორე წლიანობის წინააღმდეგ ბრძოლის დარგში) და სკოლის პედაგოგიურ კოლექტივთან ერთად დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი სასწავლო წლის პირველ ნახევარში არსებულ ნაკლოვანებათა დროულად აღმოფხვრისა და შემდგომი მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესებისათვის.

2. განათლების განყოფილებებმა სასწავლო წლის პირველ ნახევრის შედეგების შეჯამებასთან ერთად ზუსტად აღრიცხონ ცალკე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასწავლო დისციპლინების სწავლების დაყენების საქმეში არსებული ნაკლი და მიღწევები ცალკეული სკოლების მიხედვით და პედკაბინეტებთან ერთად დასახონ მეთოდურ-პედაგოგიური ღონისძიებანი არსებული დეფექტების და კერძოდ ორწლიანობის ლიკვიდაციის უზრუნველსაყოფად.

3. აჭარის და აფხაზეთის ასს რესპუბლიკების და სამხრეთ ოსეთის ავტ. ოლქის განსახკომებმა და განათლების სარაიონო (საოლქო) განყოფილებათა გამგეებმა უზრუნველჰყონ თათბირებზე მასწავლებელთა უკლებლივ გამოცხადება და თვითეული მასწავლებლის აქტიური მონაწილეობა თათბირის დღის წესრიგში დასმულ საკითხების გარჩევაში, მოაწყონ წარჩინებულ მასწავლებელთა მდიდარი გამოცდილების გაზიარება და შეუქმნან თათბირების მონაწილეებს საჭირო პირობები (ბინა, კვება და სხვა) მუშაობის ნაყოფიერად წარმოებისათვის.

4. მასწავლებელთა იანვრის საინსტრუქციო თათბირები ჩატარდეს 7 იანვრიდან 10 იანვრამდე.

5. მასწავლებელთა იანვრის საინსტრუქციო თათბირებზე განხილულ იქნას შემდეგი საკითხები:

I. პლენარულ სხდომებზე:

ა) პირველდაწყებითი საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის გატარების მიმდინარეობა და შემდგომი ამოცანები (მომხსენ. განგ. განყოფილების გამგე, 2—3 საუკეთესო დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლების დირექტორების (გამგეების) თანამოხსენებით);

ბ) სასწავლო წლის პირველ ნახევრის შედეგები და ორწლიანობის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებანი (მომხსენ. განათლ. განყ. სასკოლო ინსპექტორი, 2—3 საუკეთესო დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლების დირექტორების (გამგეების) თანამოხსენებით).

II. კლასებისა და სასწავლო დისციპლინების მასწავლებელთა სექციის სხდომებზე:

1. სასწავლო წლის მეორე ნახევრის მუშაობის აგეგმვა. ეს საკითხი დამუშავდეს ყველა სექციის სხდომებზე ცალცალკე.

2. დაწყებითი სკოლის 1—4 კლასების მასწავლებელთა სექციების გაერთიანებულ სხდომაზე:

სკოლის და კლასგარეშე მუშაობის ამოცანები და მასში მშობელთა კომიტეტის მონაწილეობა (2—3 გამოცდილი მასწავლებლის მოხსენება).

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. ცალკე კლასების მასწავლებელთა სექციების სხდომებზე:

ა) კითხვის ტექნიკის განვითარების შესახებ 1 კლასში (2—3 გამოცდილი მასწავლებლის მოხსენება);

ბ) კითხვის ტექნიკის განვითარების შესახებ მე-2 კლასში (2—3 გამოცდილი მასწავლ. მოხსენება);

გ) თვალსაჩინოება გეოგრაფიის სწავლების საქმეში მე-3 კლასში (2—3 გამოცდილი მასწავლებლის მოხსენება);

დ) ამოცანების ამოხსნის ხერხები მე-4 კლასში (2—3 გამოცდილი მასწავლებლის მოხსენება).

4. ცალკე სასწავლო დისციპლინების 5—10 კლასების მასწავლებელთა სექციების სხდომებზე:

ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა სექციაზე (არაქართულ სკოლებში მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა სექციაზე):

ა) მხატვრული ნაწარმოების შინაარსობრივი და ფორმობრივი ანალიზის მეთოდიკა.

ბ) წერითი ნამუშევრების სახეები და გასწორების წესები ქართულ ენასა და ლიტერატურაში.

რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა სექციაზე:

ა) გამომეტყველებითი კითხვის ჩვევათა გამომუშავების მეთოდიკა;

ბ) წერითი ნამუშევრების გასწორების წესები;

გ) ლექსიკურ მასალაზე ვარჯიშის მეთოდიკა.

არაქართულ სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა სექციაზე:

ა) ლექსიკურ მასალაზე ვარჯიში;

ბ) საშინაო კითხვის ორგანიზაცია.

ისტორიისა და სსრ კავშირის კონსტიტუციის მასწავლებელთა სექციაზე:

ა) თვალსაჩინოება ისტორიის გაკვეთილზე;

ბ) კომუნისტური აღზრდა ისტორიისა და სსრ კავშირის კონსტიტუციის სწავლებასთან დაკავშირებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათემატიკის მასწავლებელთა სექციაზე:

ა) გეომეტრიულ ამოცანათა ამოხსნის მეთოდები;
ბ) მეორე ხარისხის უტოლობანი და დამუშავების მეთოდები.

ფიზიკის მასწავლებელთა სექციაზე:

ა) ცდების ორგანიზაცია ფიზიკის გაკვეთილზე (ცდების დემონსტრაციის ჩატარებით).

გეოგრაფიის მასწავლებელთა სექციაზე:

ა) თვალსაჩინოება გეოგრაფიის გაკვეთილზე.

ქიმიის მასწავლებელთა სექციაზე:

ა) ლაბორატორული მუშაობის მნიშვნელობა ქიმიის საპროგრამო მასალის ცალკეულ მომენტებისათვის;
ბ) ჟანგვისა და აღდგენის მოვლენასთან დაკავშირებით ცდების დემონსტრაციისა და ლაბორატორული მუშაობის ჩატარების ნიმუშები.

ბიოლოგიის მასწავლებელთა სექციაზე:

ა) ცდები და დაკვირვებანი ბუნებისმეტყველების გაკვეთილზე;
ბ) „დარვინიზმის საფუძვლების" სწავლების მეთოდიკა.

უცხო ენის მასწავლებელთა სექციაზე:

ა) ლექსიკური ვარჯიშის მეთოდიკა;
ბ) წერის ცოდნა-ჩვევების გამომუშავების მეთოდები.

სამხედრო საქმის მასწავლებელთა სექციაზე:

ა) საყოველთაო სამხედრო ვალდებულების კანონი და სამხედრო საქმის სწავლება.

ფიზკულტურის მასწავლებელთა სექციაზე:

ა) ახალი კომპლექსი მ. ვ. შ. თ. (მზად ვართ შრომისა და თავდაცვისათვის);
ბ) ფიზკულტურის პროგრამა საყოველთაო სამხედრო ვალდებულების კანონთან დაკავშირებით.

ხატვა-ხაზვის მასწავლებელთა სექციაზე:

ა) ხაზვა-ხატვის სწავლების მეთოდები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიმღერის მასწავლებელთა სექციაზე:

ა) ბავშვებში ხმისა და სმენის გამომუშავების მეთოდები.

5. განათლების განყოფილებათა გამგეებმა სექციებზე დასმული საკითხების შესახებ მომხსენებლად პედკაბინეტებთან ერთად შეარჩიონ საუკეთესო მეთოდისტ-მასწავლებლები, მოიწვიონ მათი თათბირი, განიხილონ აღნიშნული ბრძანება და გაუწიონ მომხსენებლებს საჭირო დახმარება კონსულტაციით, ლიტერატურის მიწოდებით და სხვ. (მოხსენებები წარმოადგინონ წერილობით და გან. განყოფილების და პედკაბინეტის მიერ წინასწარ იქნას განხილული).

6. მასწავლებელთა იანვრის თათბირებზე დასმულ საკითხების ხარისხოვნად დამუშავების უზრუნველსაყოფად დაწყებითი და საშუალო სკოლების სამმართველოებმა დროულად დაიყვანონ რაიონებამდე საჭირო მასალები (კოლეგიის მიერ მიღებული ღონისძიებანი ცალკე სასწავლო დისციპლინების სწავლების გაუმჯობესების შესახებ, დადგენილებანი საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის გატარების შესახებ, მეთოდური წერილი პროცენტომანიის წინააღმდეგ და სხვ.).

7. დაწყებითი და საშუალო სკოლების სამმართველოებმა შეადგინონ იანვრის თათბირებისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად რაიონებში მისავლინებელ პირთა სია და წარმომიდგინოს მე დასამტკიცებლად არა უგვიანეს 20/12.

რაიონებში მისავლინებელ პირთა საინსტრუქციო თათბირი ჩატარდეს 28/12.

8. აჭარის ასსრ, აფხაზეთის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ა. ო. განსახკომებს და ქ. თბილისის განათლების განყოფილების გამგეს დაევალოს 25/12-მდე მოიწვიონ განათლების განყოფილებათა გამგეების საინსტრუქციო თათბირი და ამ ბრძანების შესაბამისად შეადგინონ კონკრეტული გეგმები იანვრის თათბირის წარმატებით ჩატარებისათვის.

9. დაუსწრებელ სწავლებაში ჩაბმული მასწავლებლები, რომლებიც გაწვეულნი იქნებიან საზამთრო არდადეგების პერიოდში სესიებზე, განთავისუფლდნენ იანვრის თათბირებზე მონაწილეობისაგან.

10. დაევალოს მიმაგრებულ ამხანაგებს თათბირების ჩატარების ანგარიში ყველა მოხსენების და მიღებული ღონისძიებების ასლის თანდართვით წარმოადგინონ განსახკომში არა უგვიანეს 12 იანვრისა.

განათლ. სახ. კომისარი ბ. კიკნაძე.

საშ. სკოლ. სამმარ. უფრ. მოადგილე ბ. საჯაია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლის და საბავშვო სახლების დირექტორებს (გამგეებს)

აფხაზეთის და აჭარის ასს რესპუბლიკათა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის განსახკომებს, საქართველოს სსრ ყველა სარაიონო და საქალაქო განათლების განყოფილებათა გამგეებს.

დაწყებითი, არასრული საშუალო, საშუალო სკოლებში და საბავშვო სახლებში საზამთრო არდადეგების პერიოდში მოსწავლეთა დასვენება-გართობის ორგანიზაციის შესახებ

30 დეკემბერს სკოლებში წყდება მეცადინეობა და იწყება საზამთრო არდადეგები. სტალინური ზრუნვით გარემოცული ჩვენი ქვეყნის ბედნიერი მოსწავლე ახალგაზრდობა დიდი აღტაცებით ემზადება საზამთრო არდადეგების შესახვედრად, რომელსაც უკავშირდება ყველა სკოლაში მხიარული საახალწლო ნაძვის ხის მოწყობა.

სახალხო განათლების განყოფილების გამგეების ოპერატიული ხელმძღვანელობით, სკოლების დირექტორებმა და გამგეებმა მასწავლებელთა კოლექტივთან ერთად, უნდა შეადგინონ არდადეგების ჩატარების კონკრეტული გეგმა და დასახონ სათანადო ღონისძიებანი არდადეგების პერიოდში მოსწავლეთა დასვენება-გართობის სანიმუშო ორგანიზაციისათვის.

გეგმა ძირითადად უნდა ითვალისწინებდეს შემდეგ მომენტებს:

ა) განსახკომის ინსტრუქციის თანახმად საახალწლო ნაძვის ხის მოწყობას;

ბ) ლიტერატურულ-მხატვრული საბავშვო დილა-საღამოების ჩატარებას მშობლების მონაწილეობით;

გ) თამაშს (მსუბუქი ფიზკულტურული და სხვა სახისა);

დ) კინო-სურათების ორგანიზაციულად ჩვენებას;

ე) მუსიკა-ცეკვის მოწყობას და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კულტურული გართობა-დასვენების პროცესში ფართო გასაქანი უნდა მიეცეს ბავშვთა თვითშემოქმედებას და ინიციატივას და არავითარ შემთხვევაში ადგილი არ უნდა ექნეს რაიმე ძალდატანებას მოსწავლეთა მიმართ ამ დასვენება-გართობაზე დასწრებისათვის.

გართობა და დასვენება უნდა იყოს ისე სახალისოდ და წარმტაცად მოწყობილი, რომ ის მოსწავლეებს იზიდავდეს და აღფრთოვანებდეს.

არდადეგების პერიოდში მოსწავლეებს არ უნდა მიეცეს არავითარი საშინაო დავალება, არ მოეწყოს ისეთი ექსკურსიები, რომელნიც სასწავლო-აკადემიურ ხასიათს ატარებენ, და საერთოდ სხვა რაიმე, რომელიც გამოიწვევს ბავშვთა დასვენება-გართობის ნაცვლად დატვირთვას და დაღლას.

საზამთრო არდადეგებისათვის სკოლის შენობა უნდა მოირთოს საზეიმოდ, შესაბამისად მოირთოს სკოლის ფიზკულტურისა და საერთო დარბაზიც.

საბავშვო სათამაშოებისათვის გამოყოფილ უნდა იქნას რამდენიმე სასკოლო ოთახი სათანადო გაფორმებით. წესრიგში უნდა იქნას მოყვანილი სასკოლო ბიბლიოთეკა.

ეთხოვოს საქ. სახკომსაბჭოსთან არსებულ ხელოვნების კომიტეტს და სახკინმრეწვს მისცეს დირექტივა რაიონულ კინო-თეატრებს, რათა საზამთრო არდადეგების პერიოდში გაუწიონ სკოლებს კულტურული მომსახურეობა.

განსახკომის საკლუბო სამმართველომ მისცეს დირექტივა სარაიონო, საკოლმეურნეო კლუბებს და კულტურის სახლებს, რათა საზამთრო არდადეგების პერიოდში გაუწიონ სკოლებს კულტურული მომსახურეობა საბავშვო წარმოდგენების, მხატვრული საღამოების და სხვა სანახაობათა მოწყობით.

განათლების განყოფილებათა გამგეებმა კლუბების კულტსახლების გამგეების და კინო-თეატრების დირექტორებთან ერთად შეადგინონ საზამთრო არდადეგების პერიოდში მოსწავლეთათვის კულტმომსახურეობის გეგმა, სათანადო ხელმძღვანელობის გაწევისა და კონტროლის დაწესებით უზრუნველჰყონ გეგმის მთლიანად და ხარისხობრივად შესრულება.

საზამთრო არდადეგების პერიოდში პიონერთა და მოსწავლეთა კლუბებმა შეადგინონ მოსწავლეების კულტურულად დასვენების და გართობის სწორი ორგანიზაციის კონკრეტული გეგმა და უზრუნველჰყონ სკოლებზე კულტურული მომსახურეობის საქმეში ნამდვილი დახმარების გაწევა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კინო-სურათებით და სხვა სანახაობებით მოსწავლეთა მომსახურეობის დროს ყურადღება უნდა მიექცეს საბავშვო სურათებისა და პიესების შერჩევის საქმეს, რომელთა ჩვენებაც უმცროსი ასაკის ბავშვებისათვის, უმთავრესად, უნდა მოეწყოს დღის საათებში.

არდადეგების პერიოდში სკოლებში, კინო-თეატრებში, კლუბებში და საერთოდ იქ, სადაც განზრახული იქნება ბავშვთა შეკრება, დაწესდეს მასწავლებელთა, მშობელთა, ექიმთა, მოსწავლეთა და პიონერთა ორგანიზაციების წარმომადგენლების მონაწილეობით სისტემატური მორიგეობა, რომლებსაც დაევალებათ ფხიზელი მეთვალყურეობა, როგორც ბავშვთა ქცევისა, ისე ამათუიმ სახის გართობა-დასვენების ნორმალურად და წესიერად ჩატარებისათვის.

არდადეგების დასასრულს (3 დღით ადრე) უნდა მოხდეს სკოლის მთელი შენობის გაწმენდა-დასუფთავება, დეზინფექცია საკლასო ოთახებისა და საერთოდ მთელი სკოლის წესრიგში მოყვანა, იმ ვარაუდით, რომ სწავლის განახლების პირველ დღიდანვე მოსწავლე ახალგაზრდობა მხიარულად, ენერგიულად, ახალი ძალღონითა და ენტუზიაზმით შეუდგეს ნორმალურ მუშაობას.

განათლების სახ. კომისარი ბ. კიკნაძე.
საშ. სკ. სამმარ. უფრ. მოადგილე ბ. საჯაია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აფხაზეთისა და აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის განსახკომმებს, საქართველოს ყველა რაიონულ (საქალაქო) სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებს და დაწყებითი, არასრული საშუალო, საშუალო სკოლების და საბავშვო სახლების დირექტორებს (გამგეებს).

დაწყებითი, არასრულ საშუალო, საშუალო სკოლებში და საბავშვო სახლებში ანტისაშობაო კამპანიის ჩატარების შესახებ

ახლოვდება რელიგიური „შობის" დღეები.

ხალხის მტრები—განადგურებულ ტროცკისტ-ბუხარინელთა ნაბოლარები და ეკლესიის მსახურნი ცდილობენ და მომავალშიაც შეეცდებიან რელიგიური ზეგავლენა მოახდინონ მოსწავლე ახალგაზრდობაზე და თავიანთი ბნელი ზრახვების მიზნით გამოიყენონ „შობის" დღეები. ზოგ რაიონში (ბაშქიჩეთი, ხულო, საგარეჯო და სხვაგან) ადგილი აქვს ზოგიერთი მოსწავლის ეკლესიის მსახურთა და მორწმუნე პირების გავლენის ქვეშ მოქცევას. ჯერ კიდევ არის შემთხვევები (ბაშკიჩეთში, საგარეჯოში და სხვაგან), რომ რელიგიური დღესასწაულების დროს ზოგიერთი ბავშვი სკოლაში არ ცხადდება და მონაწილეობას იღებს რელიგიურ მოქმედებაში, დადის ეკლესიებში სანთლებით ხელში, ასრულებს საეკლესიო წესებს და იჟღენთება მავნე ჩვევებით. ეს გარემოება სკოლებმა უნდა გაითვალისწინონ და ძირშივე აღკვეთონ ბავშვთა შორის ანტირელიგიური მუშაობისადმი უდარდელი და უპასუხისმგებლო დამოკიდებულება.

სკოლის მთელმა კოლექტივმა იმდაგვარად უნდა გაშალოს ანტირელიგიური მუშაობა, რომ სკოლაში არ დარჩეს არც ერთი მოსწავლე, ხოლო სკოლის გარეთ არც ერთი მშობელი, რომელთაც გარკვევით არ ჰქონდეთ განმარტებული რელიგიის კლასობრივ-ექსპლოატატორული არსი, მისი მჭიდრო კავშირი ხალხის საზიზღარ მტრებთან და მისი ანტიმეცნიერულობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამომდინარე აქედან საქ. სსრ განათლების სახალხო კომისარიატი გავალებთ:

1. ა/წ. 18 დეკემბრამდე თვითეულმა სკოლამ შეადგინოს ანტისაშობაო კამპანიასთან დაკავშირებით მასობრივ-სააგიტაციო ღონისძიებათა კონკრეტული გეგმა.

2. მოაწყონ „შობის“ დღეებში ანტირელიგიური მხატვრული საბავშვო დილები (1—4 კლ.) და საღამოები (5—10 კლ).

3. მოაწყონ საახალწლო „ნაძვის ხე“ იმ ანგარიშით, რომ მას მიეცეს ანტირელიგიური ხასიათი.

4, ჩაატარონ მოსწავლეთა და მშობელთა კრებებზე ანტირელიგიური შინაარსის საუბრები და მოხსენება-ლექციები და მისცენ მსმენელებს მეცნიერული ახსნა-განმარტება „შობის“ დღის მითის წარმოშობისა და საერთოდ რელიგიის კლასობრივ-ექსპლოატატორულ ბუნების შესახებ.

5. ჩაატარონ ანტირელიგიური კითხვა-პასუხის საღამოები და ანტირელიგიური ლიტერატურის მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის შრომებიდან სათანადო თავების ხმამაღალი კითხვა.

6. მოსწავლეებისა და მშობლების თანდასწრებით ქიმიური და ფიზიკური ცდების ჩატარებით გამოამჟღავნონ რელიგიური „სასწაულების“ სიყალბე.

7. ანტისაშობაო კამპანიამ სკოლებში უნდა გამოიწვიოს „მუკის“ სასკოლო უჯრედისა და მოსწავლეთა ანტირელიგიური წრეების მუშაობის გარდაქმნა-გაუმჯობესება, ხოლო იმ სკოლებში, სადაც ასეთები არ არსებობენ—აღნიშნულ პერიოდში ასეთების ჩამოყალიბება.

8. სკოლის დირექტორებმა უნდა შეავსონ სასკოლო ბიბლიოთეკები ანტირელიგიური ლიტერატურით და უზრუნველჰყონ სკოლა ანტირელიგიური პერიოდული გამოცემებით: ქართული ჟურნალი „მებრძოლი ათეისტი“ და რუსული ჟურნალი „ანტირელიგიოზნიკ“-ით.

9. განათლების ორგანოებმა და სკოლის დირექტორებმა (გამგეებმა) ანტირელიგიურ მუშაობაში ჩააბან სკოლის პედკოლექტივთან ერთად კომკავშირის და პიონერთა ორგანიზაციები, მოსწავლეთა და მშობელთა კომიტეტები და მუშაობა წარმართონ იმგვარად, რომ ყოველი მოსწავლე იმყოფებოდეს სკოლის ზეგავლენისა და კონტროლის ქვეშ, ეწეოდეს მათ მეთვალყურეობა სკოლაში და სკოლის გარეთ, რის შედეგად არც ერთი მოსწავლე არ მოექცეს ეკლესიის მსახურთა და მორწმუნე პირთა გავლენის ქვეშ, არ ღებულობდეს მონაწილეობას რელიგიურ „დღესასწაულებში“, ამის გამო

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ აცდენდეს გაკვეთილებს და თვითონ იბრძოდეს ასეთი მოვლენების აღმოფხვრისათვის.

თვითეულმა სკოლის დირექტორმა და მასწავლებელმა ხელი უნდა შეუწყონ მოსახლეობაში ანტირელიგიური ლიტერატურის გავრცელების საქმეს.

განათლების სახ. კომისარი გ. ძიძნაძე.

საშ. სკ. სამმარ. უფრ. მოადგილე გ. საჯაია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საახალწლო ნაძვის ხის მოწყობის შესახებ

აჭარისა და აფხაზეთის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის განსახკომმებს, ყველა რაიონის და ქალაქის განათლების განყოფილების გამგეებს, სკოლების და საბავშვო სახლების დირექტორებს (გამგეებს).

მოსწავლეთა საზამთრო არდადეგები ტარდება დეკემბრის 30-დან იანვრის 12-მდე ჩათვლით. ამ დროის განმავლობაში სკოლებსა და საბავშვო დაწესებულებებში უნდა მოეწყოს საახალწლო ნაძვის ხე. ნაძვის ხის მოწყობისათვის წინასწარ უნდა ჩატარდეს სათანადო ორგანიზაციული მუშაობა, რამაც უნდა უზრუნველჰყოს ახალწლის დღეების ეფექტიურად და ხალისიანად ჩატარება. საახალწლო ნაძვის ხე უნდა გახდეს საბჭოთა ბავშვების ბედნიერი და საამური ცხოვრების ამსახველი, რაც შექმნილია ჩვენს ქვეყანაში ბავშვზე პარტიისა, მთავრობისა და პირადად ამხანაგი **სტალინის** უდიდესი მზრუნველობით. ნაძვის ხის მორთულობა, სათამაშოები, ჩატარებული სიმღერა-მუსიკა, ყველა სახის თამაშობანი, ნაირნაირი ფერადებით უნდა ასახავდეს იმ მიღწევებს, რაც ჩვენს უძლეველ ქვეყანას 1940 წლის მიჯნაზე მოეპოება. ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული აღმავლობის კონკრეტული მაგალითები, გამოყენებული უნდა იქნას ბავშვთა კომუნისტური აღზრდისა და სოციალისტური პატრიოტიზმის გამომუშავებისათვის. ეს საბავშვო დღესასწაული უნდა გაფორმდეს მხატვრულად, გაიჟღინთოს ცოცხალი და მხიარული შინაარსით და ადგილი არ უნდა ჰქონდეს ბავშვების გადატვირთვას. ნაძვის ხის მოწყობისას უნდა იხელმძღვანელოთ შემდეგით:

1. დღესასწაულის ჩატარებისათვის უნდა შეადგინოთ სათანადო გეგმა, გეგმა იმდაგვარად უნდა შედგეს, რომ დღესასწაულზე მეტი ადგილი დაეთმოს მუსიკას, გართობას და ბავშვთა თვითმოქმედებას.

2. ნაძვის ხე დროულად უნდა მორთოთ თვით ბავშვებისა, მასწავლებლებისა და მშობლების უშუალო მონაწილეობით. როგორც ნაძვის ხე, ისე მისთვის განკუთვნილი ოთახი უნდა მოირთოს შერჩეული სათამაშოებით და პედაგოგიურად მისაღები სხვა მასალებით.

3. სკოლის დირექტორებმა (გამგეებმა) არ დაუშვან მოსწავლეებზე დავალების მიცემა ოჯახიდან ნაძვის ხის მოსაწყობად რაიმე ნივთის (ან ფულის) მოტანის შესახებ.

4. ნაძვის ხე უნდა მოაწყოთ სკოლის უფრო დიდ ოთახში. თუ სკოლას ასეთი არა აქვს, შეიძლება ნაძვის ხე მოეწყოს კლუბში ან სხვა შენობაში. ნაძვის ხე მოეწყოს 1—4 კლასების მოსწავლეთათვის ცალკე, მე-5—7 და მე-8—10 კლასების მოსწავლეთათვის ცალცალკე, რათა არ მოხდეს დიდძალი ბავშვების ერთად თავის მოყრა.

5. არდადეგების პერიოდში ნაძვის ხე აგრეთვე მოაწყონ მოსწავლეთა და პიონერთა სარაიონო კლუბებმა და სათანადო გეგმის მიხედვით უზრუნველჰყონ კულტურული გართობა-დასვენების საქმეში სკოლებისადმი მომსახურეობის გაწევა.

6. სავალდებულოა გულდასმით შეიმუშაოთ ხანძრის საწინააღმდეგო ღონისძიებანი, სახელდობრ:

ა) ნაძვის ხე უნდა გაანათოთ მხოლოდ ელნათურებით, ნაძვის ხის სანთლებით განათება კატეგორიულად აკრძალულია. სკოლებში ან საბავშვო დაწესებულებებში, ელექტრონის უქონლობის შემთხვევაში, ნაძვის ხე უნდა მოეწყოს დღისით, გაუნათებლად; ამასთან დაკავშირებით უნდა შეირჩეს მკვეთრი (კაშკაშა) ფერების მორთულობები და სათამაშოები, რომლებიც დღის სინათლეზე უფრო მეტი ეფექტური იქნება;

ბ) შეიმუშავეთ შენობიდან ბავშვების ორგანიზაციულად გაყვანის გეგმა;

გ) ნაძვის ხის მოწყობის დროს ღიად დატოვეთ ყველა სათადარიგო გასასვლელი და თვითეულ კარზე დააყენეთ მორიგე;

დ) შენობაში და ნაძვის ხის ახლოს იქონიეთ შემოწმებული და გასწორებული ცეცხლმქრობელი;

ე) ტოტების გახმობის აცილების მიზნით, ნაძვის ხე არ უნდა შეიტანოთ შენობაში მის მოწყობამდე, ხოლო მოწყობა უნდა მოხდეს არა უადრეს 12 საათისა დღესასწაულის დაწყებამდე;

ვ) ნაძვის ხე დადგით შუა ოთახში (დარბაზში) მაგარ ჯვარედინ შესადგმელზე, ან ქვიშიან ჯეგაში (ყუთში), შესადგმელს დაუფინეთ თუნუქის ფურცელი ან აზბესტი;

ზ) იატაკზე ნუ დააფენთ ხალიჩას, ფანჯრებიდან ჩამოხსენით ფარდები;

თ) ნაძვის ხე ისე დადგით, რომ ტოტები და წვერო კედლებს და ჭერს არ ეხებოდეს;

ი) ნაძვის ხის ტოტები და შესადგმელი არ შემოსოთ ბამბით, საერთოდ ბამბეული მოწყობილობები უნდა იყოს დამზადებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცეცხლგამძლე ბამბებისაგან, რომელიც გაჟღენთილია ისეთი ნივთიერებებით, როგორიც ნაჩვენებია სახანძრო დაცვის მთავარსამმართველოს ინსტრუქციაში;

კ) ნაძვის ხეზე არ დაჰკიდოთ ისეთი სათამაშოები, რომელთაც ადვილად უჩნდება ცეცხლი;

ლ) ოთახში ბენგალური ცეცხლისა და სხვადასხვა სახის შუშხუნების ანთება აკრძალულია;

მ) აიკრძალოს ბავშვების და მოზრდილების ბამბის, მარლის, ქაღალდის და სხვა კოსტუმების ჩაცმა, რომელთაც ადვილად უჩნდებათ ცეცხლი.

დროულად შეამოწმეთ თქვენს შენობაში ელექტრო-გაყვანილობის წესრიგში ყოფნა.

7. ვაფრთხილებ სკოლების გამგეებს, დირექტორებს და სარაიონო საქალაქო განათლების განყოფილების გამგეებს, რომ ხანძრის საწინააღმდეგო ღონისძიებათა დარღვევისა და ბავშვების უბედური შემთხვევისათვის ისინი მიცემული იქნებიან პასუხისგებაში.

განათლების სახალხო კომისარი გ. კიკნაძე.

საშ. სკ. სამმარ. უფრ. მოადგ. გ. საჯაია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ყველა საქალაქო და რაიონული განათლების განყოფილების გამგეს, დაწყებითი და საშუალო სკოლების მუშაკთა პროფკავშირის რაიკომის თავმჯდომარეს და დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლების დირექტორებს (გამგეებს).

საკ. კ. პ. (ბ) მე-18 ყრილობის მიერ განათლების დარგში დასმული ამოცანების წარმატებით განხორციელების უზრუნველსაყოფად, ორი მოძმე რესპუბლიკის მასწავლებელთა რესპუბლიკანური ყრილობის გადაწყვეტილების საფუძველზე საქართველოს და სომხეთის მასწავლებლები, სკოლები, სახალხო განათლების განყოფილებანი, დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირის ძირეული და საშუალო რგოლები და ცენტრალური კომიტეტები, სომხეთისა და საქართველოს სსრ განსახკომები ჩაებენ მესამე სტალინური ხუთწლედის სახელობის სოციალისტურ შეჯიბრებაში და შესასრულებლად იკისრეს სათანადო ვალდებულებანი.

გიგზავნით ორ მოძმე რესპუბლიკებს შორის დადებული სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებას და გავალებთ დაამუშავოთ იგი დირექტორებისა (გამგეებისა) და მასწავლებელთა თათბირებზე, პედსაბჭოზე, დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირის რაიკომებისა და ადგილკომების (ს. კ.) სხდომებზე, მიიღოთ აღნიშნული ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებანი და უზრუნველჰყოთ მესამე სტალინური ხუთწლედის სახელობის სოციალისტურ შეჯიბრებაში ყველა სკოლისა და განათლების მუშაკის მთლიანად ჩაბმა.

განათლ. სახ. კომისარი გ. კიკნაძე

საქ. დაწყ. და საშ. სკოლის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე ა. მურუსიძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხელშეკრულება

სოციალისტური შეჯიბრებისა

სომხეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკისა და საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის მასწავლებლებს, სკოლებს, სახალხო განათლების განყოფილებებს, განსახკომებსა და დაწყებითი და საშუალო სკოლების მუშაკთა პროფკავშირის ძირეულ და საშუალო რგოლებისა და ცენტრალურ კომიტეტებს შორის.

საკ. კ. პ. (ბ) მე-18 ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით შეიარაღებულმა საბჭოთა კავშირის მრავალმილიონიანმა ხალხმა გაშალა თავისი უზარმაზარი შემოქმედებითი მუშაობა III ხუთწლედის უდიადესი გეგმების შესასრულებლად.

ჩვენი ქვეყანა შევიდა უკლასო სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის დამთავრებისა და სოციალიზმიდან კომუნიზმისაკენ თანდათანობითი გადასვლის პერიოდში, როდესაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მშრომელთა კომუნისტური აღზრდასა და კაპიტალიზმის გადანაშთების ლიკვიდაციას ადამიანთა შეგნებაში.

ჩვენს მასწავლებლობას—სახალხო განათლების ფრონტის მუშაკთ, რომლებიც უსაზღვრო ერთგულნი არიან **ლენინ-სტალინის** პარტიის დიადი საქმისა და საბჭოთა სამშობლოსი, ეკისრებათ დიდი მუშაობის ჩატარება კომუნისტური საზოგადოების ასაგებად.

საკ. კ. პ. (ბ) მე-18 ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით შესასრულებლად, სასწავლო მუშაობის ხარისხის ამაღლებისა, ბავშვთა კომუნისტური აღზრდის უზრუნველყოფისა, სკოლაში ბოლშევიკური წესრიგის დამყარებისა და ორწლიანობის ლიკვიდაციის მიზნით,—მასწავლებლები, სკოლები, სახალხო განათლების განყოფილებანი, დაწყებითი და საშუალო სკოლების მუშაკთა პროფკავშირის ძირეული და საშუალო რგოლები და ცენტრალური კომიტეტები და სომხეთის სსრ და საქართველოს სსრ განსახკომები ებმებიან III სტალინური ხუთწლედის სახელობის სოცშეჯიბრებაში და შესასრულებლად კისრულობენ შემდეგ ვალდებულებებს:

1. განხორციელებულ იქნას საყოველთაო ათწლიანი სწავლება ქალაქად და შვიდწლიანი სწავლება—სოფლად საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკასა და სომხეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკაში. აღნიშნულის შესაბამისად უზრუნველყოფილი იქნას 1939—40 სასწავლო წლის გეგმის მთლიანი და მაღალხარისხოვანი შესრულება.

მიღებულ იქნას ყველა საჭირო გამაფრთხილებელი ღონისძიებანი სკოლებიდან ბავშვების შესაძლებელი განთესვის ასაცილებლად.

2. უზრუნველყოფილი იქნას მთლიანად და დროულად მეოთხედების მიხედვით სახელმწიფო პროგრამის შესრულება ყველა საგანში და პროგრამული მასალის მტკიცე შეთვისება მოსწავლეთა მიერ. ლიკვიდირებული იქნას ორწლიანობა, ერთდროულად მოწაფეთა ნამდვილი ცოდნის მოჩვენებითი, ფიქტიური შეფასებებითა და პროცენტებით შეცვლის წინააღმდეგ ბრძოლის გაწევით.

3. ამაღლებული იქნას გაკვეთილის ხარისხი, როგორც სწავლების ძირითადი ფორმისა. სკოლებში მეცადინეობისას ფართედ იქნას გამოყენებული თვალსაჩინოება, უზრუნველყოფილი იქნას სწავლება სასწავლო სახელმძღვანელოებით, ამისათვის შინნაკეთი ხელსაწყოებისა და დიდაქტიკური მასალის გამოყენებით. შესრულებული იქნას სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული მეცადინეობანი, ცდები და ექსკურსიები.

4. შეუმუშავოთ მოსწავლეთ დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევები, შევასწავლოთ მათ თეორიული ცოდნის ცხოვრებაში გამოყენება და მოვამზადოთ ისინი შემდეგი პრაქტიკული მოღვაწეობისათვის.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მოწაფეთა კლასგარეშე კითხვას და სასკოლო ბიბლიოთეკების მუშაობას. ყველა სკოლაში სისტემატურად შეივსოს სასკოლო ბიბლიოთეკები.

5. ვაწარმოოთ გეგმიანი მუშაობა მოწაფეებში სოციალისტური საზოგადოების ადამიანის თვისებათა აღსაზრდელად: პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, შრომისადმი სიყვარულის, სამშობლოსადმი ერთგულების, მებრძოლი ათეიზმის, პატიოსნების, მეგობრობის, გმირობისა და შეუპოვრობის. განვამტკიცოთ მოწაფეებში შეგნებული დისციპლინა. შევუქმნათ მათ ამხანაგებისა და მოზრდილებისადმი კულტურული მოპყრობის, პატარეებთან მზრუნველი დამოკიდებულების ჩვევები.

აღვზარდოთ მათში კომუნისტური დამოკიდებულება სოციალისტურ საკუთრებისადმი.

მიექცეს ჯეროვანი ყურადღება სასკოლო ჰიგიენის, მოწაფეთა სისუფთავესა და მოსწავლეთა რეჟიმის საკითხს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. სკოლაში აღმზრდელობითი მუშაობის გასაშლელად, — უზრუნველვყოთ პიონერთა და მოწაფეთა ორგანიზაციათა აქტიური მოქმედება და მათი ღრმა-შინაარსიანი მუშაობა.

ბავშვთა ცოდნისა და შემოქმედებითი უნარის განსავითარებლად და გასაშლელად, — ჩამოყალიბდეს სამეცნიერო, ტექნიკური, თავდაცვითი, თვითმომქმედი ხელოვნების წრეები. მოეწყოს პოლიტიკურ-სამეცნიერო ხასიათის ლექციები (უფროსი კლასების მოსწავლეთათვის), საუბრები, ექსკურსიები, თვითმოქმედების საღამოები და ა. შ. და ჩავაბათ ამ მუშაობაში ადგილობრივი შესაფერი ძალები (მწერლები, მეცნიერული მუშაკები, ხელოვნების მუშაკნი, შეფიდაწესებულებათა და ქარხნების სპეციალისტები, მუშებისა, და მშრომელთა აქტივი).

მოეწყოს ბავშვთა თვითმოქმედების რაიონული და რესპუბლიკური ოლიმპიადა.

7. სკოლებში გაიშალოს პედაგოგიური პროპაგანდა მშობელთა შორის, გაცხოველდეს მშობელთა კომიტეტების მუშაობა. გამოიცეს პოპულარული ლიტერატურა მშობლებთათვის ბავშვთა კომუნისტური აღზრდის ამოცანებზე და მოეწყოს მათთვის მასობრივი მოხსენებები.

8. ჩატარდეს სისტემატური მუშაობა მასწავლებლებისა და სკოლის დანარჩენ მუშაკთა იდეიურ-პოლიტიკური დონის ასამაღლებლად, საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკებისა) ისტორიისა და მარქსიზმ-ლენინიზმის ფუძემდებელთა შრომების რეგულიარულად შესწავლის გზით.

პარტიულ ორგანიზაციათა დახმარებით მოეწყოს მასწავლებელთათვის ლექციები, სემინარები, კონსულტაციები.

9. მოეწყოს მსოფლიო პროლეტარიატის გენიალური ბელადის ჩვენი მამისა და მასწავლებლის, **დიდი სტალინის** ცხოვრების და მოღვაწეობის გაღრმავებული შესწავლა და მისი ფართე პოპულარიზაცია ყველა სკოლასა და საგანმანათლებლო დაწესებულებაში, მოსწავლეთა, მშობელთა, კავშირის წევრთა და მათი ოჯახის წევრებს შორის.

10. ამაღლებული იქნას მასწავლებელთა და სახალხო განათლების დანარჩენ მუშაკთა საწარმოო-პედაგოგიური კვალიფიკაცია, გაცხოველდეს საგნობრივ კომისიათა, მეთოდურ გაერთიანებათა და პედაგოგიური კაბინეტების მუშაობა.

11. მიღებულ იქნას გადამწყვეტი ღონისძიებანი დაუსწრებელ სასწავლო დაწესებულებათა მუშაობის გასაუმჯობესებლად, უზრუნველყოფილი იქნას სასწავლო მუშაობისა და ცოდნის აღრიცხვის საუკეთესო დაყენება, გაძლიერდეს კონტროლი დაუსწრებელთა აკა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დემიურ მუშაობაზე, ამავე დროს მათთვის თავის თავზე წარმატებით მუშაობისათვის სათანადო პირობების შექმნით.

12. გაძლიერდეს ადგილებზე ანტირელიგიური პროპაგანდა მოსწავლეთა და მოსახლეობის შორის ანტირელიგიურ თემაზე მოხსენებების, კონსულტაციების, სემინარების და სხვათა მოწყობით. მებრძოლ უღმერთოთა საზოგადოებასთან ერთად ჩამოყალიბდეს ძირეულ პროფორგანიზაციებში უღმერთოთა საზოგადოების უჯრედები.

13. გაიშალოს ურთიერთ დახმარება მუშაობაში, მოეწყოს მოწინავე სკოლების დახმარება დამწყებ მასწავლებელთათვის, პედაგოგიური პრესის, მასწავლებლის სახლის, შეჯიბრებაში მყოფ სკოლების გაერთიანებულ საწარმოო თათბირებისა და სხვათა მეშვეობით. მოეწყოს საუკეთესო მასწავლებლების გამოცდილების ფართო პოპულარიზაცია. ჩაბმული იქნან სამეცნიერო-სალექტორო ძალები მასწავლებლის დასახმარებლად გაზაფხულის საგამოშვებო და გადასაყვან გამოცდების ჩასატარებელ მუშაობაში.

14. უზრუნველყოფილი იქნას აქტიური მონაწილეობის მიღება ადგილობრივ საბჭოებში მშრომელთა დეპუტატების არჩევნებისა და აგრეთვე ყველა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ხაზით წარმოებულ მუშაობაში.

15. მიღწეულ იქნას მოსახლეობის შორის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის სრული დამთავრება.

16. ჩაბმული იქნან ყველა სასკოლო მუშაკები თავდაცვითი მუშაობაში.

17. დაყენებული იქნას სკოლებში სათანადო სიმაღლეზე რუსული ენის სწავლება. მოეწყოს მასწავლებელთა ჯგუფური და ინდივიდუალური სწავლება რუსულ ენასა და ლიტერატურაში და მიღწეული იქნას ამ სწავლებაში რუსული ენის სუსტად დაუფლებულ დაწყებითი და საშუალო სკოლების ყველა მასწავლებლის ჩაბმა.

18. დამუშავდეს და გამოქვეყნდეს მთავრობის მიერ დადგენილ ვადებში დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლის სასწავლო გეგმები და პროგრამები.

დროულად დამზადდეს დასაბეჭდად სახელმძღვანელოები, უზრუნველყოფილი იქნას მათი მაღალხარისხოვნად გამოცემა და სკოლამდე და მოწაფემდე დაყვანა დაწესებულ ვადაში.

19. შესდგეს კაბინეტების, ლაბორატორიების მოწყობილობით (შესატყვისი დანახაზების), რვეულებით, დანარჩენ სასწავლო და

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალსაჩინო ხელსაწყოებით სკოლების მომარაგების კონკრეტული გეგმა, აღნიშნული გეგმის ზუსტათ შესრულებაზე კონტროლის დაწესებით.

20. სანიმუშოდ მოეწყოს მზადება ახალი სასწავლო წლისათვის. სანიმუშოდ დაყენებული იქნას სასკოლო მეურნეობა.

21. მთლიანად დამთავრდეს „გარდამავალ“ და ახალი სკოლების მშენებლობა არა უგვიანეს 1939 წლის 20 დეკემბრისა; ხოლო 1940 წლის სასკოლო მშენებლობის გეგმა კი—მთავრობის მიერ დადგენილ ვადაში.

22. სანიმუშოდ მომზადდეს და იანვრის არდადეგების პერიოდში ყველა რაიონებში ჩატარდეს მასწავლებელთა საინსტრუქციო თათბირები.

23. მოეწყოს 1940 წელს თბილისსა და ერევანში რესპუბლიკური ტექნიკური სადგურები. ჩამოყალიბდეს მოსწავლეთა კლუბები მიმდინარე წელს სომხეთის სსრ-ის 100 სკოლაში, ხოლო საქართველოს სსრ-ში 1939—40 სასწ. წელს მოეწყოს 7 რაიონული პიონერკლუბი, 8 ტექნიკური სადგური, 4 კულტურისა და დასვენების პარკი პიონერებისა და მოსწავლეთათვის.

24. წლის განმავლობაში გამოცდილების ურთიერთ გაზიარების მიზნით,—მოწვეულ იქნას (ცალკეულად) მასწავლებელთა, კლასის ხელმძღვანელების, დირექტორების, სკოლების გამგეების, მეთოდისტებისა და პროფკავშირის რაიონულ კომიტეტების თავმჯდომარეთა რაიონული თათბირები.

25. ჩატარდეს სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეების, სასკოლო ინსპექტორებისა და პედაგოგიური კაბინეტების გამგეთა გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება საკურსო ღონისძიებათა და სამეცნიერო მივლინებათა გზით.

26. მოეწყოს სკოლებისა და მასწავლებელთა მუშაობის საუკეთესო ნიმუშების ჩვენება რაიონულ და რესპუბლიკურ სასკოლო გამოფენებზე.

27. დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლების მაღალ კვალიფიციური პირებით უზრუნველყოფის მიზნით მიღებული იქნას ყოველგვარი ზომები ყველა უმაღლეს და საშუალო პედაგოგიურ სასწავლებლების ხაზით ახალგაზრდა მასწავლებლების გამოშვების გეგმის მთლიანად შესასრულებლად. გაძლიერდეს სტუდენტებსა და მოსწავლეთა შორის (რომლებიც პედსასწავლებლებს ამთავრებენ), პოლიტიკური-აღმზრდელობითი მუშაობა და დროულად დამთავრდეს მათი დანიშვნა ადგილებზე.

28. უზრუნველყოფილი იქნას 1940 წლისათვის რაიონების მიხედვით განსახკომისათვის დაქვემდებარებულ დაწესებულებათა ქსე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის, კონტიგენტისა და დაფინანსების გეგმის მაღალხარისხოვანი შედგენა და წარდგენილი იქნას იგი სათანადო ორგანოებში მთავრობის მიერ დადგენილ ვადებში.

29. სასკოლო ქსელის მოწესრიგების მიზნით ჩატარდეს 1940 წ. 1/7-სათვის სასკოლო ქსელის განაწილების სისწორის მთლიანი შემოწმება და მიღებულ იქნას ზომები კლასების დატვირთვის ასამაღლებლად.

აღნიშნულ მასალების საფუძველზე უზრუნველყოფილი იქნას რაიონების მიხედვით, სასკოლო ქსელის განვითარების გეგმის შედგენა მე-3 ხუთწლედის დანარჩენ წლებისათვის.

30. 1940 წლის 1 აგვისტომდე უზრუნველყოფილი იქნას ნორმალური მაჩვენებლების დამუშავება 1941 წლის დაფინანსების გეგმის შესადგენად. შესდგეს ქსელის, კონტიგენტისა და დაფინანსების გეგმა 1941 წლისათვის 10 დღით ადრე მთავრობის მიერ დადგენილ ვადაზე და წარდგენილი იქნას იგი სათანადო ორგანოებში.

31. სახალხო განათლებისა და პროფკავშირების ყველა ორგანომ გადამწყვეტი ბრძოლა ჩაატაროს სსრკ-ის სახკომსაბჭოს, ს. კ. პ. (ბ) ც. კ. და საკ. პროფ. კავშ. ცენტრ. საბჭოს 1938 წლის 28 დეკემბრის დადგენილების დარღვევის ყოველგვარი ცდების წინააღმდეგ სოციალური დაზღვევის ღონისძიებათა ხაზით.

არ იქნას დაშვებული რაიმე დარღვევა დახმარების გაცემისას დროებით შრომის უნარის დაკარგვის დროს, აღნიშნული კანონის ყველა დამრღვევთა პასუხისგებაში მიცემით.

32. ჩატარდეს გადამწყვეტი ბრძოლა გამცდენლების, ფრენიებისა და მათ ხელისშემწყობთა წინააღმდეგ. მობილიზებული იქნას საზოგადოებრივი აზრი ფრენიებისა და გამცდენლების, როგორც წარმოების დეზორგანიზატორების, წინააღმდეგ ამისათვის ამხანაგური სასამართლოების, პრესის, კლუბებისა და სხვათა გამოყენებით, სკოლის მუშაკთა კრებებზე შრომის დისციპლინის ბოროტ დამრღვევთა შესახებ საკითხის დასმით.

33. ჩატარდეს სსრკ-ის სახკომსაბჭოს 1938 წლის 20 დეკემბრის დადგენილების შესრულების მთლიანი შემოწმება „შრომის წიგნაკების შემოღების“ შესახებ.

34. ჩატარდეს გადამწყვეტი ბრძოლა ხელფასის შესახებ არსებულ კანონების დამახინჯების ყოველგვარ ცდების წინააღმდეგ. ასევე ჩატარდეს მასწავლებელთა ტარიფიკაციის სისწორის მთლიანი შემოწმება სსრკ-ის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ც. კ.-ის 1936 წლის 9/4-ის დადგენილებისა და მასთან დართულ ინსტრუქციის შესაბამისად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

35. ძირეულ ორგანიზაციებზე ცოცხალი ოპერატიული ხელმძღვანელობის განხორციელებით,—მივაღწიოთ სკოლაში საწარმოო თათბირების მუშაობის სწორ ორგანიზაციას და უზრუნველვყოთ ამ თათბირებზე სასკოლო ცხოვრების აქტუალური საკითხების განხილვა.

36. ყოველნაირად მივაღწიოთ ქალაქისა და სოფლის მასწავლებელთა საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების, სოფლის მასწავლებელთათვის უფასო კომუნალური მომსახურეობის უზრუნველყოფით ან მათთვის ბინის, გათბობისა და განათების ფაქტიური ღირებულების ანაზღაურებით.

37. არ დავუშვათ მშობელთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვის გაჭიანურება, ვაწარმოოთ კავშირის ყველა რგოლსა და სახალხო განათლების ორგანოში შემოსულ საჩივრების ზუსტი აღრიცხვა და რეგისტრაცია. მივაღწიოთ მუშათა საკონფლიქტო კომისიაში მუშათა ნაწილის ხელმძღვანელობის გაუმჯობესებას, მუშაკთა საკონფლიქტო კომისიის ოქმების სწორ გაფორმებასა და კონფლიქტების გადაწყვეტას ჩვენში მომქმედ შრომის კანონმდებლობის შესატყვისად.

საქართველოს და სომხეთის დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირების ცენტრალური კომიტეტები და მათი ძირეული და საშუალო რგოლები დამატებით იღებენ თავიანთ თავზე შემდეგ ვალდებულებათ:

1. უზრუნველჰყონ 100%-ით ყველა მომუშავეთა ჩაბმა კავშირის წევრად.

2. მიაღწიონ საწევრო გადასახადის შეგროვების გეგმის 100%-ით შესრულებას.

3. პროფმუშაკების იდეურ-პოლიტიკური დონისა და საქმიანი კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით,—გაატარონ კურსებზე:

საქართველოს სსრ-ში:

კავშირის რაიკომის თავმჯდომარე—40 (წარმოებიდან მოწყვეტით).

ადგილკომის (სკ) თავმჯდომარე — 200 (წარმოებიდან მოუწყვეტლად).

სომხეთის სსრ-ში:

კავშირის რაიკომის თავმჯდომარე—15 (წარმოებიდან მოწყვეტით).

ადგილკომის (სკ) თავმჯდომარე—110 (წარმოებიდან მოუწყვეტლად).

ამის გარდა ჩატარდეს კურსები ყველა მსხვილ ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში შრომის საზოგადოებრივი ინსპექტორებისა და დაზღვევის დელეგატებისათვის, მათი წარმოებიდან მოუწყვეტლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. არ იქნას დაშვებული პროფდემოკრატიის დარღვევა, როგორც პროფკავშირის ორგანოების არჩევის საკითხში, აგრეთვე პროფორგანოების მიერ კავშირის წევრთა წინაშე ანგარიშგების დროს.

უზრუნველჰყონ კავშირის წევრთა წინაშე პერიოდულად ანგარიშის ჩაბარება. ყოველნაირად ხელი შეუწყონ კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლას და მუშაობაში ყოველგვარი ნაკლის გამომჟღავნებასა და აღმოფხვრას.

5. სთვლიან რა, რომ პროფკავშირული მუშაობის წარმატების საკითხი წყდება ადგილკომებში,—გაძლიერდეს ხელმძღვანელობა კავშირის ძირეულ ორგანიზაციებზე კავშირის რაიკომების, ოლქკომებისა და ცკ-ის მხრივ, მათთვის დახმარების აღმოჩენით პროფკავშირული მუშაობით პრაქტიკული საკითხების გადაწყვეტაში და მათი, როგორც სოციალისტური შეჯიბრების მოწინავის, როლის ამაღლებით.

6. დამუშავდეს და გამოიცეს ქართულ ენაზე ცნობარი „შრომის საზოგადოებრივ ინსპექტორებისათვის დასახმარებლად“ და სომხურ ენაზე სსრკ-ის სახკომსაბჭოს და ს. კ. პ. (ბ) ც. კ.-ის დადგენილებათა კრებული სკოლისა და ასევე კანონების კრებული შრომის შესახებ.

7. მიაღწიონ 1939 წელს დაზღვეულთა დაავადების შემცირებას 8%-ით 1938 წელთან შედარებით, და 1940 წელს—10%-ით შემცირებას 1939 წელთან შედარებით.

8. აწარმოონ დამზღვევლების ზუსტი აღრიცხვა და მიაღწიონ დავალიანების სრულ ლიკვიდაციას დაზღვევის ანარიცხების ხაზით.

განსახკომი და კავშირის ცკ ამავე დროს მოუწოდებენ ყველა მასწავლებელს და სხვა სასკოლო მუშაკს ჩაებან სოცშეჯიბრებაში, გაშალონ ბოლშევიკური ბრძოლა ს. კ. პ. (ბ) მე-18 ყრილობის გადაწყვეტილებათა და III ხუთწლედის ამოცანათა შესასრულებლად.

დაწესდეს ხელშეკრულების შემოწმების შემდეგი ვადები: 1940 წლის თებერვალი და სექტემბერი.

ხელი მოაწერეს: სომხეთის სსრ-იდან:

1. ა ი კ ა ზ უ ნ ი მ. გ. (განსახკომის მოადგილე).

2. ნ ა ლ ბ ა დ ი ა ნ ი ა. მ. (დაწყებითი და საშუალო სკოლების მუშ. კავშირის ც. კ. თავმჯდომარე).

ხელი მოაწერეს: საქართველოს სსრ-იდან:

1. კ ი კ ნ ა ძ ე გ. ი. (საქ. სსრ-ის განსახკომი).

2. მ უ რ უ ს ი ძ ე ა. (საქ. სსრ დაწყებითი და საშ. სკოლების მუშაკთა კავშირის ც. კ. თავმჯდომარე).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

3. ბ ა დ ა ლ ი ა ნ ი ს. ა. (ერევნის კიროვის სახ. რაიონის განათლების განყ. გამგე).

4. მ ი ნ ა ს ი ა ნ ი ს. ა. (დაწყებითი და საშ. სკოლების მუშ. კავშირის საწარმოო განყოფილების გამგე).

5. ა ბ ა ს ო ვ ა ა. ა. (ორდენოსანი, ვედინის რაიონის მასწავლებელი).

6. კ ა ზ ა ხ ე ც ი ა ნ ი ა. მ. (დამსახ. მასწავლებელი — ალავერდ. სახ. სკ. დირექტორი).

7. კ ა ზ ა რ ი ა ნ ი მ. ა. (ქ. ერევანის კრუპსკაიას სახ. საშ. სკოლის დირექტორი).

8. ა ბ დ უ ლ ა ე ვ ი ა. ა. (განსახკომის სასკოლო სამმართველოს უფროსის მოადგილე).

9. ა კ ო პ ი ა ნ ი გ. ს. (დაწყებითი და საშ. სკოლების მუშაკთა კავშირის ქ. ლენინაკანის ქალაქკომის თავმჯდომარე).

10. ა ზ ო ი ა ნ ი ს. ე. (დაწყ. საშ. სკოლების მუშაკთა კავშირის სტეპანოვანის რაიკომის თავმჯდომარე).

3. გ ი ო რ გ ა ძ ე ა. (ტფილისის საბჭოს განათლების განყოფილების გამგე).

4. კ ი კ ნ ა ძ ე დ. (ა-კ. რკ. გზის საგზაო-სასკოლო განყოფილების გამგე).

5. კ ა ჭ ა რ ა ვ ა ზ. (ქ. თბილისის რკგზ. მე-4 სკოლის დირექტორი).

6. ვ ა რ დ ი ა შ ვ ი ლ ი (დამსახურებული მასწავლებელი).

7. კ ვ ა ლ ი ა შ ვ ი ლ ი (დაწყ. და საშ. სკოლების მუშაკთა კავშირის ლენინის რაიკომის თავმჯდომარე).

8. ს ა ნ ი კ ი ძ ე ალექსანდრა (ქ. ტფილისის მე-2 საშ. სკოლის დირექტორი).

9. ნ ო ზ ა ძ ე (ქ. ტფილისის სტალინის სახ. რაიონის განათლების განყ. გამგე).

10. გ ა ბ ი ს ო ნ ი ა. (გაზ. „საბჭოთა-მასწავლებლის“ პასუხისმგებელი რედაქტორი).

11. ნ ე ბ ი ე რ ი ძ ე ქ. (დამსახ. მასწავლებელი).

12. ბ ა რ ა მ ი ძ ე ვ. (ქ. ტფილისის 26 კომ. სახ. რაიონის განათლების განყ. გამგე).

უფასო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

СОДЕРЖАНИЕ

1. Приказ об организации и проведении январских совещаний учителей
2. О зимных каникулах
3. Об устройстве новогодней елки
4. О проведении антирождественской кампании
5. Договор социалистического соревнования

САХЕЛГАМИ

Тбилиси 1939